სოფიკო თევდორაძე

ბიზნესის მართვის დოქტორი, გთუნის რექტორის აპარატის უფროსი, ბიზნესისა და ეკონომიკის მართვის კათედრის პროფესორი

უმაღლესი განათლება და აკადემიური ხარისხი მიღებული აქვს თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტში:

- 1997-2002წწ. სპეციალობა:საერთაშორისო ტურიზმი;
- 2004-2006წწ სპეციალიზაცია: საკურორტო-სასტუმრო კომპლექსებისა და საერთაშორისო ტურიზმის კომერცია და მარკეტინგი(BA);
- 2006-2009წწ სპეციალობა: ტურიზმი (PhD).

2004-2009 წლებში სოფიკო თევდორაძე ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის პროგრამულ მიმართულებაზე და პარალელურად ეკავა ადმინისტრაციული თანამდებობები.

2004-2007წწ. იყო თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტის დაუსწრებელი განყოფილების ხელმძღვანელი, ხოლო 2007-2009წწ. ეკავა ცენტრალური აპარატის უფროსის თანამდებობა.

2009 წლიდან აკადემიურ და ადმინისტრაციულ საქმიანობას აგრძელებს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტში.

ს. თევდორაძის კვლევის ძირითად სფეროს წარმოადგენს ტურიზმის ინდუსტრია, კერძოდ: საერთაშორისო ტურიზმის თანამედროვე ასპექტები, საერთაშორისო ტურისტული ბაზრის მომსახურების თავისებურებები და საქართველოს ტურისტული პოტენციალის საერთაშორისო ტურისტულ ბაზარზე ინტეგრაციის შესაძლებლობები, გლობალიზაციის პროცესები ტურისტულ ინდუსტრიაში.

გამოქვეყნებული შრომები ეხება ასევე გლობალიზაციის სოციალურ-ეკონომიკურ და სამართლებრივ ასპექტებს და საერთაშორისო ბიზნესის განვითარებას გლობალურ სივრცეში, PR სტრატეგიებს ტურისტული პროდუქტის ბაზარზე წინწაწევის კომპლექსში, ბრენდინგის როლს ტურისტული ორგანიზაციების გასაძლიერებლად, მარკეტინგს ტურისტული საწარმოს საქმიანობაში. იგი 20-მდე სამეცნიერო სტატიის, 1 სახელმძღვანელოს და რამდენიმე სალექციო კურსის ავტორია.

კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, გავლილი აქვს სხვადასხვა მიმართულებით ტრენინგები და იმყოფებოდა ნიდერლანდებში, ინჰოლანდის გამოყენებითი მეცნიერებების უნივერსიტეტში. მონაწილეობა აქვს მიღებული რამდენიმე საერთაშორისო კონფერენციაში, მათ შორის სლოვაკეთში Matej Bel-ისუნივერსიტეტში.